AGRO NEWS GEORGIA

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 3 ახალი პროექტი დამტკიცდა

მთავრობამ დაამტკიცა მომდევნო 3 პროექტი პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დღეს გამართულ შეხვედრაზე. ორი ბენეფიციარი საწარმო მდებარეობს თბილისში, ხოლო მესამე - გორის მუნიციპალიტეტში. ყველა ბენეფიციარი მიიღებს ქონებას სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, თუ აიღებს ვალდებულებას დაიწყოს მუშაობა 2 წლის განმავლობაში და იფუნქციონიროს 2 წელი. ერთ-ერთი თბილისელი ბენეფიციარი არის საწარმო, რომელიც განთავსებულია აღმაშენებლის ხეივანში. მან უნდა აწარმოოს შესაფუთი მასალა და ერთჯერადი ნივთები ქაღალდის და უქსოვადი ქსოვილისაგან. საწარმოს მფლობელმა ეკატერინე აბრამიამ მიიღო მიწის ნაკვეთი– 2 587 m^2 და ორი შენობა – 385 m^2. სანაცვლოდ მან აიღო ვალდებულება ჩადოს სულ მცირე 1,42 მილიონი ლარის ინვესტიცია. მეორე თბილისელი ბენეფიციარი არის პლასტმასის საწარმო ორხევში. მისმა მფლობელმა შპს „გეოკაპმა“ მიიღო მიწის ნაკვეთი – 15 003 m^2 ნაგებობებით და სანაცვლოდ აიღო პასუხისმგებლობა მოახდინოს 2,62 მილიონი ლარის ინვესტირება. მესამე ბენეფიციარი არის ხილის, კენკრის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, განთავსებული სოფელ კარალეთში, გორის მუნიციპალიტეტში. მისმა მფლობელმა შპს „გეო კონცენტრატმა“ მიიღო 20 067 m^2 ფართობი შენობებით და სანაცვლოდ აიღო ვალდებულება მოახდინოს 332 000 ლარის ინვესტირება.

DAILY NEWS, 26 ივნისი, 2014

EPI ხელს შეუწყობს ღვინის ტურიზმის განვითარებას

USAID-ის მიერ დაფინანსებული ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის ორგანიზაცია (EPI) დახმარებას გაუწევს ღვინის ტურიზმის ცნობარის გამოცემას, ღვინის ტურიზმის ვებ–პორტალის შექმნას და ღვინის ტურიზმის თემაზე ვიდეოს გადაღებას. სამუშაოები ამ მიმართულებით დასრულდება სავარაუდოდ შემოდგომაზე, განაცხადა „სარკესთან“ ინტერვიუში EPI–ს წარმომადგენელმა. გარდა ამისა, ღვინის ტურიზმის განვითარების პროექტი მოაწყობს პრეს–ტურს ჟურნალისტებისთვის პოსტ–საბჭოთა ქვეყნებიდან. წელს საქართველოში იმყოფებოდა უკრაინელი ჟურნალისტების დელეგაცია, რომლებმაც იმოგზაურეს თბილისში, მცხეთასა და კახეთის რეგიონში (ივნისი 15-22). კახეთში უკრაინელი სტუმრები გაეცნენ სპა–კომპლექსს „ყვარლის სამოთხე“, ქართული ხალხური სტილის „ველისციხის ვერანდას“, ადგილობრივ ღვინის სარდაფებს და ღვინის ტურიზმის სხვა ობიექტებს. ქართველ კოლეგებთან საუბრისას უკრაინელმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ბუნებამ, ისტორიულმა ძეგლებმა, სამზარეულომ და ღვინომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ქართულ სტუმართმოყვარეობას. უკრაინა საქართველოს მესამე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. „საქსტატის“ ინფორმაციით ქართულ ღვინოს ამ ქვეყანაში წარმოებული ექსპორტის 15,8% უჭირავს 2013 წელს (ანუ 30,47 მილიონი აშშ დოლარი, წლიური ზრდა - 11,3%). გარდა ამისა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით ვიზიტორთა რაოდენობამ უკრაინიდან შეადგინა

126 300 ადამიანი 2013 წელს (საქართველოში ჩამოსული ვიზიტორების 2,4%, წლიური ზრდა - 64,9%).
DAILY NEWS, 26 ივნისი, 2014

ჰოლანდიური სუპერმარკეტების ქსელი SPAR შეცვლის „ფუდმარტ"–ს
საქართველოს სავაჭრო ქსელები „ფუდმარტი" და „იოლი" გახდებიან ჰოლანდიური SPAR International–ის ფრანჩაიზერები. 6 თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ შესაბამის შეთანხმებას ხელი მოეწერა თბილისში გუშინ. სტატია იუწყება, რომ „ფუდმარტმა" უკვე განახორციელა ფრანჩაიზინგთან დაკავშირებული ინვესტიციები 7 მილიონი აშშ დოლარი და გეგმავს დამატებით 7 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას სრული რებრენდინგის დასასრულებლად. „ფუდმარტი" აცხადებს, რომ სასამართლო „პოპულთან" დასრულდა (2012 წელს „იოლმა" შეიძინა პოპულის 88% 5,5 მილიონ აშშ დოლარად. „იოლს" მართავს „სიფ კავკასიის ფონდი", რომელიც დაარსდა 2011 წელს კაიმანის კუნძულებზე. ამ ფონდმა შემდეგ დააფუძნა „ფუდმარტი", რაც გააპროტესტა „პოპულის"დამფუძნებელმა ევგენი ფიჩხაიამ). SPAR ბრენდის პირველი მაღაზია, რომელიც გათვლილია საშუალო შემოსავლების მომხმარებელზე, გაიხსნება ივლისში. SPAR International აცხადებს, რომ გეგმავს ახალი პუნქტების გახსნას და გაფართოებას საქართველოში 80 მაღაზიამდე 2018 წელს. ამჟამად, „ფუდმარტის"და „იოლის" ქსელი ითვლის 51 მაღაზიას, ყოველდღიურად 50 000 მომხმარებელს ემსახურება (გამოქვეყნდა 25 ივნისს).
ECONOMIC PRESS MONITOR, 26 ივნისი, 2014

ჯიშების ტესტირების პროექტის ფარგლებში ხორბლის პირველი მოსავალი მიიღეს
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ჯიშების ტესტირების პროექტის ფარგლებში ხორბლის მოსავალი მიიღეს სოფელ ტალავერში (ბოლნისის რაიონი, ქვემო ქართლის რეგიონი). სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტომ აღნიშნული პროექტი დაიწყო შარშან, იგი გათვლილია 3 წელზე. პროექტის მიზანია სიმინდის, სოიოს და ხორბლის იმ ჯიშების გამოვლენა, რომლებიც ოპტიმალურია საქართველოს ნიადაგის კლიმატური ზონისთვის. პროექტის ღირებულება არ არის დასახელებული.
DAILY NEWS, 25 ივნისი, 2014

სუბსიდიები და პრეფერენციები გავრცელდება წლევანდელ რთველზეც
სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა „ორგანიზებული და წარმატებული რთველის ჩასატარებლად" შეხვედრა გამართეს დაახლოებით ღვინის და სპირტიანი სასმელების 80 კომპანიის მენეჯერთან. ფიფიამ განაცხადა, რომ რთველი 2013 მსგავსად, საკრედიტო რესურსი იქნება გამოყოფილი ამ წელსაც, ასე რომ ღვინის კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ შეღავათიანი სესხები. სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით, სუბსიდიები ასევე შენარჩუნებული იქნება. მინისტრმა განაცხადა, რომ წინასწარი მონაცემებით, წლევანდელი მოსავალი აღემატება გასული წლისას 20%–ით. მან აღნიშნა, რომ ღვინის ექსპორტი ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა. „წელს მოთხოვნა გაიზარდა თეთრ ყურძენზე. ამასთან, მოთხოვნა წითელ ყურძენზე აღემატება მოსავალს დაახლოებით 2–ჯერ", აღნიშნა მინისტრმა. თავის მხრივ, დავითაშვილმა აღნიშნა, რომ

რთველის შტაბები ასევე იმოქმედებს წელს გურჯაანში (კახეთის რეგიონი) 20 აგვისტოდან.
DAILY NEWS, 25 ივნისი, 2014

შპს „ჩირინა“ აპირებს აწარმოოს 12 000 ტ ქათმის ხორცი წლის ბოლომდე
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შპს „ჩირინამ“ 100 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადო მეფრინველეობის ფერმაში, რომელიც „უდიდესია სამხრეთ კავკასიაში". საწარმო მუშაობს 2013 წლიდან. სამინისტროს ინფორმაციით „ჩირინას“ მიმდინარე პროდუქცია არის 6 000 ტ ქათმის ხორცი და კომპანია აპირებს გააორმაგოს მოცულობა წლის ბოლოსთვის. კომპანია მონაწილეობს შეღავათიანი აგროსესხების პროგრამაში, განაცხადეს სამინისტროში. „ჩირინას“ ერთ-ერთი პარტნიორია ისრაელის კომპანია Agro Top. ისრაელის სამთავრობო დელეგაციამ, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, დღეს დაათვალიერა ფერმა და გაეცნო მის მუშაობას, განაცხადეს სამინისტროში.
DAILY NEWS, 24 ივნისი, 2014

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიწაზე უცხოელების საკუთრების აკრძალვა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას
საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მან განიხილა 31 დეკემბრამდე მიწაზე უცხოელების საკუთრების უფლების შეჩერების საკითხი და გადაწყვიტა, რომ ეს აკრძალვა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამიტომ, ასეთი აკრძალვა ცხადდება შეწყვეტილად. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც განხილულ იქნა საქმე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" და დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ (Transparency International-ის საქართველოს ფილიალი), სადაც ჰუტერი არის ანალიტიკოსი და პროგრამების მენეჯერი, განმარტავს, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა ანტიკონსტიტუციურად აღნიშნული აკრძალვა, რადგან ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მუხლს, რომელიც აღიარებს საკუთრების უფლების და მემკვიდრეობითობის ხელშეუხებლობას. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აუქმებს ნორმებს, რომლებიც კრძალავს სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენას უცხოელების მიერ", აღნიშნავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში“. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა გასული წლის 17 ივლისს. მათ თანახმად შემოღებულ იქნა აკრძალვა უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფლობაზე 31 დეკემბრამდე (არ ვრცელდება იმ მიწებზე, რომლებიც უკვე საკუთრებაშია).
DAILY NEWS, 24 ივნისი, 2014

ახალი მიღწევა: 412 000 ჰექტარის კულტივირება მოხდა ამ წელს
ბოლო მონაცემებით, 412 000 ჰა კულტივირებულ იქნა შემოდგომა-გაზაფხულზე. 407 000 ჰა და 304 000 ჰა წინა ორი წლის განმავლობაში. შემოდგომაზე ხორბალი დაითესა 85 000 ჰა-ზე, რაც 15 000 ჰა-ით მეტია წინა წლის და 40 000 ჰა-ით - ორი წლის წინა მაჩვენებელზე. სტატია მიუთითებს, რომ თუ ხორბალი დაითესება 130000-135000 ჰა-ზე, საქართველო შეძლებს დააკმაყოფილოს საკუთარი მოხმარების დაახლოებით

65%. სიმინდი დაითესა 164 000 ჰა-ზე, კარტოფილი 35 000 ჰა-ზე, 32000 ჰა უკავია სხვა ბოსტნეულს, ხოლო 16 000 ჰა - მზესუმზირას. ექსპერტი თამაზ კუნჭულია მიუთითებს, რომ სიმინდის მაჩვენებელმა გადააჭარბა შიდა მოთხოვნის 100%-ს, კარტოფილის - 84%-ს, ხოლო სხვა ბოსტნეულის - 70-73%-ს წინა წელთან შედარებით (უახლესი მონაცემები არ არის წარმოდგენილი). თუმცა, 2006 წლიდან უკუსვლა ამ სფეროში აშკარა გახდა, აცხადებს გაზეთი და მიუთითებს, რომ ერთ-ერთი მიზეზი იყო ადგილობრივი პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა იმპორტირებულთან შედარებით. სტატია ასევე მიუთითებს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა არ იყო პირველ ხუთეულში უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, ხოლო 2014 წლის 1 კვარტალში მეორე გახდა ფინანსური სექტორის შემდეგ. კერძოდ, ინვესტიციების მოცულობამ ამ სფეროში მიაღწია 46 მლნ აშშ დოლარს.

ECONOMIC PRESS MONITOR, 24 ივნისი, 2014

რუსი ექსპერტები შეამოწმებენ ხილს და ბოსტნეულს კახეთში

საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით რუსეთის სოფლის მეურნეობის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის „როსსელხოზნადზორის“ სპეციალისტები ჩამოვიდნენ დღეს საქართველოში. დელეგაცია შედგება 4 წევრისგან და ქართველ კოლეგებთან ერთად ეწვევა კახეთის რეგიონს და ჩაატარებს ფიტოსანიტარიულ შემოწმებას ექსპორტზე გამიზნული ხილის და ბოსტნეულის. სააგენტოს ცნობით, ქართველმა კოლეგებმა უკვე გააცნეს რუს სპეციალისტებს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია, საქმიანობის მეთოდები და პრინციპები. რუსული დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 1 კვირა გაგრძელდება და შემოწმებას კახეთის მსგავსად ჩაატარებს ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონებში. სააგენტომ აღნიშნა, რომ რუსეთის სია იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის, რომელიც დაშვებულია იმპორტზე, გაიზარდა 26 მაისის შემდეგ და მოიცვა მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის ქართული პროდუქციაც. კერძოდ, ისეთმა ნაწარმმა, როგორიცაა ახალი კარტოფილი (გარეცხილი და შეფუთული), პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი – „უნდა გაიაროს ფიტო-სანიტარიული კონტროლი საექსპორტო პარტიების მომზადებამდე", აცხადებს სააგენტო.

DAILY NEWS, 23 ივნისი, 2014

საქართველო და ისრაელი ითანამშრომლებენ სოფლის მეურნეობის დარგში

ისრაელის სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მინისტრი იაირ შამირი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას მოწვევით, საქართველოში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში მინისტრებმა ხელი მოაწერეს სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოსა და ისრაელის მთავრობათაშორის თანამშრომლობის შეთანხმებას. სამინისტროს ცნობით ხელშეკრულება მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაღრმავებას სოფლის მეურნეობის წარმოების, სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, ვეტერინარიისა და ცხოველთა ჯანდაცვის, მეღვინეობის და ა.შ. სფეროებში. ფიფია აცხადებს, რომ ჩატარდება გაცვლითი პროგრამები და სემინარები, ისრაელის გამოცდილება იქნება გაზიარებული კოოპერატივების შექმნისას, ბაზარზე ორიენტირებული ფერმების და საწარმოთა განვითარების და სოფლის მეურნეობის

ლოჯისტიკური ცენტრების მოწყობისას. „თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებს შორის დაიწყება და შესაძლოა ერთობლივი კვლევითი პროექტებიც განხორციელდეს“, განაცხადა მინისტრმა. ფიფიამ და შამირმა გახსნეს დღეს საქართველო-ისრაელის ბიზნეს ფორუმი, რომელსაც ორგანიზებას უწევს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
DAILY NEWS, 23 ივნისი, 2014

ყველის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე - მზად არის, თუ არა საქართველო
ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ ფარგლებში (DCFTA), საქართველოსთვის ნებადართულია 1 650 ტ რძის პროდუქტების ექსპორტი, წერს ონლაინ გამოცემა. ევროკავშირი მოითხოვს, რომ რძეში არ უნდა იყოს ანტიბიოტიკების და სომატური უჯრედების გაზრდილი შემცველობა. „ევროკავშირის სტანდარტებზე გადასვლა უნდა დაიწყოს მეურნეობებიდან. მნიშვნელოვანია პირუტყვის კვება, ჯანმრთელობა და გაზრდის პირობები. მკაცრი ბიოორგანული კონტროლი უნდა დაწესდეს წარმოებულ პროდუქციაზე", ამბობს ანა მიქაძე, ქართული ყველის მწარმოებელთა გილდიის ხელმძღვანელი. იგი მიუთითებს, რომ მხოლოდ 4-5 ფერმა აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს, ასრულებს რა კონტროლს მთელ პროცესზე „ფერმიდან ჩანგლამდე“. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ მას აქვს პროდუქციის ხარისხის სპეციალური ლაბორატორიული ტესტირება, რომელიც სერტიფიცირებულია ISO 17025-ს მიხედვით. ფერმერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული რძე და ყველი კონკურენციას ვერ უწევს ევროპულს ფასით. ზოგიერთი ფერმერი ფიქრობს, რომ ქართული რძის პროდუქტებმა უნდა დაიკავოს ევროპულ ბაზარზე ბიოპროდუქციის ნიშა (გამოქვეყნდა 18 ივნისს).
DAILY NEWS, 19 ივნისი, 2014

სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში გაიზარდა 2013 წელს
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში გაიზარდა 2013 წელს 9,3%-მდე, 2012 წელს - 8,6%-ით. სოფლის მეურნეობის გამომუშავებამ საანგარიშო წელს 3,4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 11,4% ზრდა არის წლის განმავლობაში. სულ გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციამ შეადგინა 4,1 მილიარდი ლარი, ზრდა – 10,4%, განაცხადეს სამინისტროში.
DAILY NEWS, 17 ივნისი, 2014

რეზონანსი: „ხორბლის ნათესების დიდი ნაწილი განადგურდა კახეთში"
ბონდო ბოგაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის (კახეთის რეგიონი) საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი, ამბობს, რომ რაიონში ზამთრის ხორბალი დაითესა 16 100 ჰა-ზე, ხოლო ზამთრის ქერი – 3 690 ჰა-ზე. თუმცა, ნათესები 4 995 ჰა-ზე მთლიანად განადგურდა, და დაახლოებით 3000 ჰა-ზე მხოლოდ 400-700 ტ იქნება მოსავალი, წერს გაზეთი. სპეციალისტები თვლიან, რომ მთავარი მიზეზი არის გვალვა და გაუდაბნოება და გამოსავალს ხედავენ სამელიორაციო სისტემების და ქარის საცავი ზოლების აღდგენაში და ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდაში. ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, რომ სიღნაღის და მომიჯნავე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არ შეუძლიათ ამის გაკეთება საკუთარი ძალებით, რადგან დიდი

თანხებია აუცილებელი. პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი აცხადებს, რომ მისი კომიტეტი მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ქარსაცავების აღდგენას. ამასთან, არსებობს სამთავისისა და ფიროსმანის ახლოს 2 000 ჰა სარწყავი ფართობის პროექტი.
ECONOMIC PRESS MONITOR, 17 ივნისი, 2014

კვირის პალიტრა: „დიდი მოსავალი - დიდი პრობლემა?"
არაოფიციალური პროგნოზებით, ატმის მოსავალი მიაღწევს ამ წელიწადში 80 000 ტ-ს. შარშან, მოვიდა 60 000 ტ. უხვი მოსავალი იწვევს მეტ საზრუნავს ქართველი ფერმერებისთვის - ხილი მოითხოვს სწრაფ გაყიდვას, ფასი ეცემა იმის გამო, რომ მცირე ბაზარია და ატმის მწარმოებლები ზარალდებიან, წერს გაზეთი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო განმარტავს, რომ გადამამუშავებელი ქარხანა ამოქმედდება, როდესაც ატმის მოსავლის აღება დაიწყება (სავარაუდოდ 20-25 ივნისს). სამინისტრო არ აკონკრეტებს ჯერ-ჯერობით ფასს, რომლითაც ქარხანა შეიძენს ატამს ფერმერებისგან, წერს გაზეთი. გაყიდვის ფასმა 1 კგ ხარისხიან ატამზე კახეთში მიაღწია 0,80-1,00 ლარს 2012 წელს, შარშან გახდა 0,10-0,60 ლარი. იმის გამო, რომ ასეთი დაბალი ფასი იყო, ფერმერებმა დატოვეს მოსავლის ნაწილი ხეებზე, წერს გაზეთი. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში გაიზარდა ატმის ექსპორტი აზერბაიჯანში (934 ტ - 2012 წელს და 1 256 ტ - 2013 წელს), ფასი მცირდება, წერს გაზეთი და აღნიშნავს, რომ მწარმოებლები ხსნიან ამას საბაჟო მოსაკრებლების ზრდით.
ECONOMIC PRESS MONITOR, 16 ივნისი, 2014

„ფუდპანდა-ს“ განახლებული მობილური სამსახური საკვების შეკვეთას უფრო ადვილს და სწრაფს ხდის
ონლაინ შეკვეთა სულ უფრო და უფრო მოთხოვნადია სწრაფი კვების ბაზარზე. გერმანული ბრენდი „ფუდპანდა“ ახლახან შემოვიდა ქართულ ბაზარზე, რათა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა. საერთაშორისო კომპანია „ფუდპანდა“, რომელიც ევროპის Tech Startup Award 2014-ის გამარჯვებულია, მუშაობს გერმანულ ბიზნეს მოდელზე, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს საქართველოში. „ფუდპანდა“, როგორც მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს, როგორიცაა მობილური მოდულები, რაც საკვების შეკვეთის პროცესს მარტივს და სახალისოს ხდის და კომფორტს უქმნის მომხმარებელს. საკვების ონლაინ შეკვეთა და შეკვეთების გაკეთება სმარტფონით უკვე შესაძლებელია „ფუდპანდა“-ს განახლებული მოდულით. საკვების შეკვეთა მარტივად არის შესაძლებელი 50-ზე მეტ სასადილოში თბილისში, მცხეთაში და რუსთავში iOS, Android და Window Mobile-ის მეშვეობით, ასევე კომპანიის ოფიციალურ ვებ-საიტზე www.foodpanda.ge. ამ მომსახურების მიზანია დაეხმაროს მომხმარებელს თანამედროვე, აქტიური ცხოვრების წესით. ამავე დროს თითქმის ყველა რესტორანს აქვს ადგილზე მომსახურება, „ფუდპანდა“ ათავსებს სხვადასხვა მენიუებს ინტერნეტში და აძლევს მომხმარებლებს არჩევის საშუალებას! შეკვეთის პროცესი მარტივია – განაცხადის ჩამოტვირთვის სასურველ მობილურ საშუალებაზე და ანგარიშის რეგისტრაციის შემდეგ შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენი ქალაქი და რაიონი, და ნახოთ საუკეთესო რესტორნების სია თქვენს ახლოს. ამის შემდეგ შეგიძლიათ აირჩიოთ ამ რესტორნებიდან ერთ-ერთი და ნახოთ მათი სრული მენიუ, რომელიც რეგულარულად ახლდება და აირჩიოთ სასურველი

კერძები, დაამატოთ პირადი შენიშვნები და მიიღოთ ზუსტი ფასი და მიწოდების დრო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ foodpanda.ge მისი პარტნიორი რესტორნების ფასებს არ ამატებს დამატებით გადასახადს. გადახდა ხდება ნაღდი ფულით კურიერთან, მაგრამ ონლაინ გადახდის სისტემაც დაინერგება უახლოეს მომავალში.
foodpanda, პრეს რელიზი, 13.06.2014

თანამშრომლობა - ყველაზე ეფექტური გზა სოფლის მეურნეობაში კრიზისის გადასალახად

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი პაატა კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის „კოოპერატივების მუშაობის სტილი მოქნილია და შეესაბამება მიმდინარე მოთხოვნებს“. ფართომასშტაბიანი დახმარების ზომების განხილვისას, რომელიც მთავრობამ დაიწყო სოფლად, კოღუაშვილი ამბობს: „სამწუხაროდ, ფინანსური დახმარების დაბალი ეფექტურობის საფრთხე, რაც გამოწვეულია არასწორი კონცეპტუალური მიდგომით, ახლაც ისევე არსებობს, როგორც ადრე“. დღეს სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის წარმოებას ე.წ. „იაფი სესხის“ პროგრამის ფარგლებში, ხოლო ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის კოოპერატივების უმრავლესობას პრაქტიკულად არ აქვს შანსი, რათა დააკმაყოფილოს ბანკების მოთხოვნები „იაფი კრედიტის“ მიღებაზე, აცხადებს ექსპერტი. ამიტომ, აუცილებელია სხვა გზების მოძებნა, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარებას, ამბობს ის. ერთი ასეთი გზა, არის „ხელშეკრულების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქციის გადამუშავება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების (ან კერძო საწარმოების შესაბამისი მოთხოვნების თანახმად, რომელიც ქვემოთ არის მითითებული) მიერ. საბოლოო პროდუქტი შეიძლება იყოს კოოპერატივის და საწარმოს საერთო საკუთრება (თუმცა, შეიძლება იყოს შეთანხმების სხვა ფორმაც)“. რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალის (მოგების) გარკვეული ნაწილი გამოყენებულ იქნება კოოპერატივის განვითარებისთვის, ხოლო დარჩენილი ნაწილი გადანაწილდება კოოპერატივის წევრებს შორის, გადამამუშავებელი საწარმოსთვის მათ მიერ მიწოდებული ნედლეულის ღირებულების შესაბამისად, აცხადებს ექსპერტი. ამასთან, კოღუაშვილი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია აუქციონზე იმ გადამამუშავებელი საწარმოების გაყიდვა, რაც დარჩენილია სახელმწიფო საკუთრებაში („გრუზვინპრომი“, აკურის ღვინის ქარხანა, მარცვლეულის საშრობი საწარმო ლაგოდეხსა და აბაშაში) ან ამ საწარმოებში ე.წ. „ინვესტორების" დაშვება მნიშვნელოვანი წილით გადაიარაღების ან ნებისმიერი სხვა მოტივით". „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების სამეურნეო კოოპერატივებისთვის გადაცემა უნდა მოხდეს ლიზინგის ფორმით, შეძენის უფლებით 7-10 წლის განმავლობაში, ხოლო ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და სხვა მიზნებისათვის - უნდა გაკეთდეს „იაფი კრედიტის" პროგრამის ფარგლებში", აცხადებს კოღუაშვილი (გამოქვეყნდა 12 ივნისს).
ECONOMIC PRESS MONITOR, 13 ივნისი, 2014

რეზონანსი: „გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაის ფოთლის დეფიციტია"
ჩაის ასოციაციის უფროსი თენგიზ სვანიძე აცხადებს, რომ ჩაის წარმოება მძიმე მდგომარეობაშია და მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. ფოთლის დეფიციტი გაჩნდა რეგიონებში, მიუთითებს ის და დასძენს, რომ მხოლოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას შეუძლია შეწყვიტოს ეს პროცესი. ჩაის წარმოების წლიური მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 3 500 - 4 000 ტ-ს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ შემცირება მოსალოდნელია 10-15%-ით ამ წელს. „ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ამინდს ამ პრობლემაში. უნდა ითქვას, რომ ჩაი მოითხოვს კარგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამინდს", აცხადებს სვანიძე. 19 ჩაის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო სიმძლავრის ქარხანა ფუნქციონირებს საქართველოში. ჩაის მოსავლის 80%-მდე ექსპორტზე მიდის, ხოლო ქართული ჩაის წილი შიდა ბაზარზე შეადგენს 18-20%-ს.
ECONOMIC PRESS MONITOR, 13 ივნისი, 2014

თბილისელების ნახევარი არ ყიდულობს მზა საკვებს
ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფმა (ACT) განაცხადა, რომ თბილისელების 50% არასოდეს ყიდულობს მზა საკვებს. კვლევის შედეგების საფუძველზე, კომპანიამ განაცხადა, რომ 15% ყიდულობს ასეთ ნაწარმს 2-3 ჯერ კვირაში, 9% - კვირაში ერთხელ, 8% - 2-3-ჯერ თვეში, ხოლო 5% – ყოველდღიურად. ყველაზე პოპულარული მზა საკვებია საკონდიტრო ნაწარმი, რომელსაც შეიძენს კომპანიის რესპონდენტთა 44%. ასევე, 33% ყიდულობს ხაჭაპურს, ხოლო 20% - ლობიანს (ორივე ტრადიციული ქართული საკვებია ყველით და ლობიოთი). ACT-მ განაცხადა, რომ საკმაოდ პოპულარულია ასევე ბოსტნეულის სალათები (15%), ქათმის სალათი (14%), მწვანილის კერძები (13%) და ბადრიჯანი (12%). კვლევა ჩატარდა 422 ზრდასრულ მცხოვრებს შორის თბილისში მაისში. როგორც კომპანიაში თქვეს, სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4,75%-ს.
DAILY NEWS, 13 ივნისი, 2014

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გახსნას 14 ახალი ოფისი
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გახსნა ამბროლაურში რეგიონული ოფისი რაჭა ლეჩხუმის - ქვემო სვანეთის რეგიონისთვის. ოფისი აგებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით, აცხადებენ სამინისტროში. დაფინანსების მოცულობა არ არის მითითებული, თუმცა სამინისტროს თანახმად, სააგენტო გეგმავს 14 ახალი ოფისის გახსნას საქართველოს მასშტაბით, ზემოთ აღნიშნულის ჩათვლით.
DAILY NEWS, 13 ივნისი, 2014

ხილის გადამამუშავებელი საწარმო ამოქმედდა გურჯაანში
მთავრობის ინფორმაციით ხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა სოფელ ჩუმლაყში (გურჯაანის რაიონი, კახეთის რეგიონი). საწარმოს მფლობელმა, 2013 წელს დაარსებულმა შპს „საქართველოს ხილის კომპანიამ“ აიღო სესხი 600 000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში. საწარმოს უჭირავს 2 ჰა ფართობი, რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთში ხდება ხილის გადამუშავება,

დასუფთავება და შეფუთვა, ხოლო მეორეში – 400 ტ ხილის ცივად შენახვა. საწარმოში არის იტალიური დახარისხების აპარატი და ის შეიძენს ხილს ადგილობრივი ფერმერებისგან, ხოლო შეფუთული პროდუქციის ექსპორტს აწარმოებს რუსეთში და უკრაინაში. მთავრობის ცნობით, კომპანია ასევე გეგმავს მომავალში ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნას დასავლეთ საქართველოში.
DAILY NEWS, 12 ივნისი, 2014

ფინანსები: „მარნეულის სასურსათო ქარხანა გეგმავს 20%-იან ზრდას 2014 წელს"
მარნეულის სასურსათო ქარხნის დირექტორის ირინა გაფრინდაშვილის ინფორმაციით, კომპანიამ 5 მილიონ ქილაზე მეტი სხვადასხვა დასახელების პროდუქტი გამოუშვა 2013 წელს, რაც 15%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წელთან შედარებით. თუმცა, კომპანია დაახლოებით 20-25%-ს ფარავს ადგილობრივი მოთხოვნის, ხოლო დანარჩენი იმპორტირებულია, აცხადებს ის. გაფრინდაშვილის ინფორმაციით, ტომატის პასტა და მარინადი (კიტრის) არის ყველაზე გაყიდვადი პროდუქტები და მათი გაყიდვები იზრდება 80%-ით. „მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჯერ კიდევ არსებობს წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეულის ნაკლებობა", აცხადებს გაფრინდაშვილი და დასძენს, რომ „შესაბამისად, ჩვენ ვერ ჩავანაცვლებთ იმპორტს. ამ მხრივ ჩვენ ძალიან ფოკუსირებული უნდა ვიყოთ პროდუქციის ზრდაზე, რათა გაიზარდოს წარმოება“. ის ამბობს, რომ კომპანია გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას და გთავაზობთ ახალ პროდუქტებს – სხვადასხვა ტიპის მარინადებს 2014 წელს. მარნეულის სასურსათო ქარხანა, რომელიც 2007 წელს ჩამოყალიბდა, „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია 2009 წლიდან (გამოქვეყნდა 11 ივნისს, 13:39).
ECONOMIC PRESS MONITOR, 12 ივნისი, 2014

ფინანსები: „კულამ“ გაზარდა რეალიზაცია 40 პროცენტით უშაქრო პროდუქტების დამატების და ექსპორტის გაფართოების ხარჯზე"
გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხნის „კულა“ გენერალური დირექტორი ვანო გოგლიძე აცხადებს, რომ მისმა კომპანიამ მიმდინარე ასორტიმენტს დაამატა ახალი ხაზი – უშაქრო წვენები. ჩვენ გავზარდეთ გაყიდვები 40%-ით, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ახალი პროდუქტის გამოშვების გამო, ჩვენ შევედით ახალ ბაზრებზე, მიუთითებს ის. როგორც გოგლიძე ამბობს, „კულა“ შევიდა რუსეთის ბაზარზე 2013 წელს. 2014 წელს ჩვენ ასევე დავიწყეთ ექსპორტი აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში, აღნიშნავს გენერალური დირექტორი. რუსეთი პირველ ადგილზეა ექსპორტის მოცულობით. ადრე უკრაინა ლიდერი იყო, მაგრამ იქ არსებული რთული ვითარების გამო გადახდის უნარიანობა შემცირდა, აცხადებს გოგლიძე. გაზეთის კითხვაზე, თუ რა სარგებელს მოუტანს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერა ევროკავშირთან, გოგლიძე ამბობს, რომ „კულა“ უკვე აწარმოებს ექსპორტს ევროპაში რამდენიმე წელია და ეს შეთანხმება "არ მოგვცემს კონკრეტულ სარგებელს". „კულა“ დაარსდა 2009 წელს. მას შემდეგ, ინვესტიციების მოცულობამ მიაღწია 42 მლნ აშშ დოლარს (გამოქვეყნდა 11 ივნისს).
ECONOMIC PRESS MONITOR, 12 ივნისი, 2014

სომხური გარგარის ექსპორტი შემცირდა 70 ტონამდე 19 500 ტონიდან ერთი წლის წინ
სომხეთის ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი გაიზარდა 24 740 ტონამდე 25 ივნისისთვის 19 590 ტონიდან 2013 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ რობერტ მაკარიანმა განუცხადა Arka-ს დღეს. მაკარიანის ინფორმაციით 2 620 ტონა იყო ყურძენი, 339 ტონა - ტკბილი ალუბალი, 18 400 ტონა - კარტოფილი, 1 500 ტონა - კომბოსტო, 650 ტონა - ჭარხალი და ბოლოკი და 188 ტონა - სტაფილო. ექსპორტის დიდი ნაწილი წავიდა საქართველოში, რუსეთში, ერაყში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში და ქუვეითში. მისი თქმით, გარგარის ექსპორტი შემცირდა 70 ტონამდე 7 700 ტონიდან ერთი წლით ადრე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზით გარგარის მოსავალი ამ წელს იქნება დაახლოებით 8 000 ტონა, მაშინ როდესაც 86 000 ტონა იყო 2013 წელს. მკვეთრი ვარდნა გამოწვეულია ცივი ამინდებით მარტის ბოლოს, რამაც დააზიანა მოსავლის 90 პროცენტამდე არარატის და არმავირის რეგიონებში.
26 ივნისი, Arka

მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს 32,67 მლნ აშშ დოლარს სომხეთის სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის
მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 32,67 მილიონი აშშ დოლარის დაფინანსება თემების სამეურნეო რესურსების მართვის და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების (CARMAC) მეორე პროექტისთვის სომხეთში. ამ პროექტის მიზანია გააუმჯობესოს საძოვრების და მეცხოველეობის სისტემების პროდუქტიულობა და მდგრადობა 100-მდე თემში რვა რეგიონში ვრცელი საძოვრებით და გაზარდოს ბაზარზე შერჩეული პირუტყვის და მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხვედრა. ქალების და მამაკაცებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ სომხეთის სოფლებში, სოფლის მეურნეობა რჩება დასაქმებისა და ცხოვრების ძირითად წყაროდ. ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობის განვითარება, მათ შორის კოოპერატივებისა და ასოციაციების მეშვეობით, კავშირების განმტკიცება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებს და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის მნიშვნელოვანია. პროექტი დაეხმარება ძირითადი დაბრკოლებების დაძლევაში, ხელს შეუწყობს ბაზარზე დაშვებას, მხარს დაუჭერს კომერციალიზაციის პროცესს და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას ბუნებრივი გარემოს დაცვის პარალელურად. მეორე CARMAC აფართოებს პირველი პროექტის ფარგლებს, განსაკუთრებით საძოვრების და მეცხოველეობის კუთხით, მათ შორის, მოიცავს ჯაჭვის ახალ კომპონენტს მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის ბაზრებთან დაკავშირებით. „პროდუქტიულობის გაზრდა და ბაზრებზე შესვლის გაუმჯობესება ფერმერებისთვის უმნიშვნელოვანესია სიღარიბის დაძლევის და საერთო კეთილდღეობისთვის სოფლად“, ამბობს ჟან მიშელ ჰეპი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის მენეჯერი სომხეთში. „პროექტის აქტივობები იმგვარად არის შემუშავებული, რომ ძირითადად ისარგებლონ საძოვრების მომხმარებლებმა, ფერმერების კოოპერატივებმა, ისევე როგორც კვების პროდუქტების ბიზნეს ოპერატორებმა. მინიმუმ 50 000 ფერმერი სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებს ამ პროექტში მათი წევრობით საძოვრების მომხმარებელთა კოოპერატივებში (PUC). „შემოთავაზებული პროექტი კიდევ უფრო დაეხმარება საძოვრების საფუძველზე

მეცხოველეობის ეფექტურ და მდგრად წარმოებას და მიმდინარე CARMAC პროექტში უკვე ჩართული 86 თემის გარდა მოიცავს ახალ არეალებს. საძოვრების მომხმარებლის კოოპერატივები შეიქმნება დაახლოებით 100 თემში, რომლებიც იქნებიან ძირითადი მოთამაშეები საძოვრების/მეცხოველეობის განვითარების მართვის გეგმებში და მიიღებენ გრანტის რესურსებს 200000 აშშ დოლარს თითო საძოვრების მომხმარებელთა კოოპერატივზე განვითარებისთვის. დაფინანსება შეიძლება შეეხოს ინფრასტრუქტურას, რათა მოხდეს შორს მდებარე საძოვრებზე მოხვედრა და მათი გამოყენება, რძის ჩაბარება გაგრილების მოწყობილობებით აღჭურვილ პუნქტებში, მანქანა-დანადგარებს პირუტყვის საკვების დასამზადებლად და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საქმიანობას. „მინდა ხაზი გავუსვა ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების გრძელვადიან სარგებელს სოფლის მეურნეობის გამომუშავების ეფექტურობისთვის“, ამბობს ნიკოლა ეჰუისუსი, მსოფლიო ბანკის პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი. „პროექტი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებს და გადამამუშავებლებს გააუმჯობესონ შიდა მოთხოვნის დააკმაყოფილების უნარი და ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ბაზრებზე სომხეთის ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდით“. იგეგმება ქალთა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამები, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა საძოვრების მომხმარებელთა კოოპერატივებში და საძოვრების მართვაში. სხვა აქტივობების გარდა, პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის დაწესებულებების, როგორიცაა რეგიონულ დონეზე ვეტერინარული მომსახურების ცენტრები და სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური, დაეხმარება ბიზნესის განვითარებას და ბაზრის ხელმისაწვდომობას. სულ პროექტის დაფინანსებაა 42,67 მილიონი აშშ დოლარია, აქედან 10 მილიონი აშშ დოლარი იქნება მთავრობისა და ბენეფიციართა წვლილი. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს 9,67 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტურ კრედიტს, აქედან 3,8 მილიონ აშშ დოლარის სტანდარტულ შერეულ IDA კრედიტს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 1,25% წელიწადში 25 წლის ვადით და 5 წლიანი საშეღავათო პერიოდით; 5,87 მილიონ აშშ დოლარს ფიქსირებულ IDA კრედიტს, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 1,40% წელიწადში 25 წლის ვადით და 5 წლიანი საშეღავათო პერიოდით; 23 მილიონ აშშ დოლარს IBRD სესხს ცვლადი გავრცელებით 10 წლიანი საშეღავათო პერიოდით და 25 წლიანი საერთო დაფარვის ვადით. მსოფლიო ბანკში 1992 წელს და IDA-ში 1993 წელს გაწევრიანებიდან დაბანდებები სომხეთში სულ დაახლოებით 1 871,73 მლნ აშშ დოლარია.

www.armradio.am

მცირე და საშუალო ზომის ფერმერებს სომხეთში შეეძლებათ პროდუქციის ექსპორტირება გარკვეული პრობლემების მოგვარების შემდეგ

მცირე და საშუალო ზომის ფერმერებს სომხეთში შეეძლებათ პროდუქციის ექსპორტირება გარკვეული პრობლემების მოგვარების შემდეგ, ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ გარეგინ მელკონიანმა განაცხადა ხუთშაბათს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტთა კომისიის მეორე სესიაზე. „პარტნიორები, ისევე როგორც სწორი მარკეტინგი, რეკლამა და ბრენდები არის საჭირო", თქვა მან და მიუთითა ასევე, რომ აუცილებელია საერთაშორისო ბაზარზე შესვლისათვის გზების პოვნა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გამგეობის სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2013 წლის დეკემბერში პარიზში, სომხეთი ჩართეს პროექტში, რომელიც

შეისწავლის ორგანიზაციის ევრაზიის რეფორმების პროგრამას 2014 წელს. ამის შემდეგ კომისია დაფუძნდა სომხეთში ექსპერტების შეფასების საკოორდინაციო მუშაობისთვის. ანტონიო სომამ, პროგრამის ხელმძღვანელმა, თავის მხრივ განაცხადა, რომ კვლევამ გამოავლინა გარკვეული პრობლემები, რომლებიც აფერხებს მცირე და საშუალო სასოფლო–სამეურნეო კომპანიების პროდუქტების ექსპორტს. შესწავლის დასრულების შემდეგ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ ჩათვალა საჭიროდ დაეხმაროს ფერმებს საერთაშორისო ბაზრებზე მოხვედრის გზების პოვნაში. მელკონიანმა განაცხადა, რომ კვლევის შედეგების ანგარიში წარმოდგენილი იქნება 7 და 8 ოქტომბერს.
19 ივნისი, Arka

სომხეთმა 49 ტონა გარგარი გაიტანა ექსპორტზე საქართველოში
დღეისათვის სომხეთიდან გავიდა ექსპორტზე 49 ათასი ტონა გარგარი რუსეთში და შვეიცარიაში, აცხადებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახური. სომხეთმა ასევე ექსპორტზე გაიტანა 330 ტონა ტკბილი ალუბალი რუსეთში და საქართველოში, ნათქვამია განცხადებაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოლოდინით გარგარის მოსავალი ამ წელს დაახლოებით 8 000 ტონა იქნება 86 000 ტონის ნაცვლად 2013 წელს. გარგარი მოსავალის 80-90% დააზიანა ცივმა ამინდებმა მარტის ბოლოს. გარდა გარგარის ბაღებისა, ზიანი მიადგა ასევე ალუბლის და ნუშის ხეებს. ძირითადად ბაღები არმავირის და არარატის პროვინციაში დაზიანდა, კოტაიქის რეგიონში ზარალი არ იყო მნიშვნელოვანი.
19 იანვარი, Arka